საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW-
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

№ 110034 22 12 2012 წ.

განმცხადებელ ზვიად აბესაძეს (პ/№35501129921)
(რუსთავი, მე-19 მ/რ 7-88; ტელ: 5(98) 23 87 24)

ბატონო ზვიად,

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა (შემდგომში ცენტრი) განიხილა თქვენ მიერ შემოტანილი №72104 განცხადება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან შემოსული დალი აბესაძის №77897 განცხადება, თქვენ მიერ სახელმწიფო სასწავლო გრანტით სარგებლობის თაობაზე.

საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრის მონაცემების მიხედვით, 2011 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, რექტორის 2011 წლის 23 სექტემბრის №1 ბრძანებით თქვენ ჩაირიცხეთ შპს - საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ „სეუ"-ს ტურიზმის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე და მოიპოვეთ 30%-იანი სახელმწიფო სასწავლო გრანტი (შემდგომში გრანტი), 675 ლარის ოდენობით. ამასთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 8 დეკემბრის №862 ბრძანებით, სოციალური პროგრამის ფარგლებში, გრანტი გაგეზარდათ 100%-მდე, 2250 ლარის ოდენობით. შესაბამისად, 2011-2012 სასწავლო წელს აღნიშნულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში თქვენი სწავლის 2250 ლარით დაფინანსების მიზნით, ცენტრის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიეწოდა შესაბამისი ინფორმაცია.

ამასთან, 2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის შედეგების საფუძველზე, რექტორის 2012 წლის 28 სექტემბრის №15-04/293 ბრძანებით თქვენ ჩაირიცხეთ ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე. „2011-2012 სასწავლო წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 11 მარტის №125 დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე თქვენ ვერ გადმოგყვებათ სოციალური პროგრამის ფარგლებში მოპოვებული გრანტი. ამასთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 15 სექტემბრის №154/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემისა და

საქართველო, თბილისი 0193, მ.ალექსიძის ქ.№1; ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 200220(3546); (+995 32) 2 200220(3540) ; www.eqe.ge; info@eqe.ge
1, M. Aleksidze str; 0193 Tbilisi, Georgia, Phone/ Fax:(+995 32) 2 200220(3546);(+995 32)2 200220(3540) www.eqe.ge; info@eqe.ge

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადატანის წესისა და პირობების" (შემდგომში „წესი და პირობები") მე-7 მუხლის 1[1] მუხლის საფუძველზე, ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე თქვენ ვერ გადმოგყვებათ ვერც თქვენ მიერ მოპოვებული 30%-იანი გრანტი.

დამატებით გაცნობებთ, რომ 30%-იანი გრანტითა და სოციალური პროგრამის ფარგლებში მოპოვებული გრანტით თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ კიდევ სამი წლის განმავლობაში, თქვენ მიერ მხოლოდ აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შემთხვევაში, გარდა შემდეგი მიმართულებებისა ან დარგების/სპეციალობებისა: სამართალი; ჯანდაცვა; ბიზნესის ადმინისტრირება; მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა; საერთაშორისო ურთიერთობები; საჯარო მმართველობა.

2011-2012 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობისათვის ცენტრის ვებგვერდზე სტუდენტის მიერ სახელმწიფო სასწავლო/სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადატანის თაობაზე გამოქვეყნებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ აღნიშნულ ინფორმაციაში მითითებულია „წესისა და პირობების" პირველი მუხლის პირველი პუნქტითა და მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომლის შესაბამისადაც, სტუდენტის მიერ მობილობის განხორციელების შემთხვევაში, მას სახელმწიფო სასწავლო/სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი გადაყვება მხოლოდ აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის შემთხვევაში. აღნიშნული ინფორმაციის მიზანი იყო სტუდენტთა ინფორმირება, რომ მობილობის წესით არააკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრმაზე გადასვლის შემთხვევაში, სტუდენტს არ გადაყვებოდა გრანტი.

ამასთან, თქვენ მიერ შემოტანილი განცხადებიდან ირკვევა, რომ თქვენ სრულად გაეცანით ცენტრის ვებგვერდზე განთავსებულ მობილობის წესსა და პროცედურას, სადაც მითითებული იყო ცენტრის ცხელი ხაზის ნომერი, დამატებითი შეკითხვებისათვის. თუმცა, გრანტით სარგებლობის შესაძლებლობის თაობაზე თქვენ მიმართეთ მიმღებ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. ცენტრის ცხელი ხაზით სარგებლობის შემთხვევაში კი თქვენ მიიღებდით შესაბამის განმარტებას გრანტით სარგებლობის თაობაზე.

პატივისცემით,

ნინო წერეთელი

რეესტრის წარმოების, აპოსტილისა და ლეგალიზაციის
სამსახურის უფროსი